თამარ ცინცაძე
თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი
ttsin18@freeuni.edu.ge

სირიის ოპოზიციური ძალები - რისკები და პერსპექტივები ახლო აღმოსავლეთის რეგიონისთვის

რეზიუმე

სტატია ეძღვნება სირიის სამოქალაქო ომში ჩართულ ოპოზიციურ ფლანგს და იმ რისკებსა და პერსპექტივებს, რასაც ოპოზიციური ძალები უქმნიან როგორც სირიას, ისე ახლო აღმოსავლეთის რეგიონს. სტატიაში განხილულია სირიის სამოქალაქო ომის საწყისები, ომის ამჟამინდელი არქიტექტურა და ის მახასიათებლები, რითიც სირია გამოირჩევა სხვა არაბული სახელმწიფოებისგან. სტატიის ავტორი მკვლევართა თუ პირად მოსაზრებებზე დაყრდნობით აფასებს არაბული გაზაფხულის შედეგებს ახლო აღმოსავლეთისა და კონკრეტულად სირიისთვის და აანალიზებს სირიის ამჟამინდელი პრეზიდენტის, ბაშარ ალ-ასადის, პოლიტიკის ცვლილებებს არაბული გაზაფხულის შემდეგ. გარდა ამისა, სტატიაში სირიის უახლესი პოლიტიკური ისტორია შეფასებულია როგორც ორ დიქტატორს შორის გაბმული დროის ხაზი, რომელმაც სირია ტოტალურ დესტრუქციამდე და ტერორიზმის ჰაბად ჩამოყალიბებამდე მიიყვანა.

ნაშრომში აღწერილია სირიაში მოქმედი ექსტრემისტული ორგანიზაციები, მათი მოქმედების ტაქტიკა და სტრატეგია. გარდა ამისა, მოკლედაა აღწერილი ყველა ის ფაქტორი, რაც განაპირობებს სირიის სახელმწიფოებრიობის სიმყიფეს. სტატიაში ასევე გაანალიზებულია კონფლიქტში ჩართული გარეშე აქტორების მიზნები და ინტერესები. საყურადღებოა საფრთხეები, რასაც მათი ომში ჩართვა ან/და შიდა ოპოზიციური ჯგუფების მხარდაჭერა ქმნის როგორც ლოკალურად, ისე გლობალურად. სტატიის დასასრულს განხილულია სირიის სამოქალაქო ომის ეკონომიკური და ჰუმანიტარული შედეგები, შეფასებულია მიმდებარე რეგიონების, მათ შორის კავკასიის უსაფრთხოების გარემოზე მათი გავლენა. ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია კონფლიქტის როგორც პოლიტიკურ, ისე ეკონომიკურ და სოციალურ შედეგებზე, რაც განსაკუთრებით მძიმე და რთულად მოგვარებადია.

დასასრულს, ექსპერტებისა და პირად მოსაზრებებზე დაყრდნობით განხილულია კონფლიქტის მოგვარების პერსპექტივები.

საკვანძო სიტყვები: სირია, სირიის სამოქალაქო ომი, ბაშარ ალ-ასადი, ტერორიზმი, სირიის ოპოზიციური ძალები.

ახლო აღმოსავლეთი მრავალმხრივად საინტერესო რეგიონია, სადაც ნაკლებად მუშაობს საერთაშორისო ურთიერთობების ტრადიციული თეორიები და ნებისმიერი კონფლიქტის გააზრება დელიკატური და კომპლექსური მიდგომით ხდება. გასული ათწლეულების განმავლობაში რეგიონი, ფაქტობრივად, ბუფერულ ზონად იქცა, სადაც უსაფრთხოებისა და პოლიტიკურ გარემოს ბევრი დამოუკიდებელი აქტორი ქმნიდა. საინტერესოა ისიც, რომ ამ აქტორებს აქტიურად იყენებენ გარე ძალები, რომლებიც ხელს ითბობენ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში არსებული დესტაბილიზაციითა და შიდა არეულობებისადმი სიმყიფით. ამ მხრივ ყველაზე საინტერესო სირიის მაგალითია, სადაც ერთდროულად ამერიკის შეერთებული შტატების, რუსეთის, თურქეთისა და ირანის ინტერესები იკვეთება. დამატებით, სირიაში

მოქმედებს რამდენიმე მსხვილი ტერორისტული ორგანიზაცია, რომლებიც პირდაპირი თუ არაპირდაპირი გზით მონაწილეობენ უკვე წლების წინ ლოკალურ ჩარჩოს გამცდარ კონ-ფლიქტში. ისლამურ სახელმწიფოსა და ჰაიათ თაჰრირ აშ-შამს დაპირისპირება სრულიად სხვა პრიზმაში გადაყავთ, სადაც ერთმანეთში ირევა უსაფრთხოების გამოწვევები, პოლიტი-კური ძალაუფლების საკითხები და ტერორისტული ორგანიზაციების ლოკალურ პოლიტი-კურ ძალად ფორმირების ტენდენცია.

სირია გამორჩეულია თავისი უახლესი ისტორიით, რომელიც ორ დიქტატორს შორის გაბმული დროის ხაზია დაუსრულებელი სამოქალაქო ომითა და დიდი ზამთრის საწყისი არაბული გაზაფხულით. პარადოქსულია, რომ ბაშარ ალ-ასადის მიერ ტერორიზმის წინა-აღმდეგ გაცხადებული ბრძოლის პირობებში, თანამედროვე სირია სწორედ ტერორიზმის ახალ კერად ჩამოყალიბდა, რაც ყველაზე მეტად აშფოთებს დასავლეთს.

სირიაში არსებული ვითარება მნიშვნელოვნად განაპირობებს ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის დამყარების დღის წესრიგს. მინიმუმ ათწლიან პერსპექტივაში ეს ნაკლებად მოსა-ლოდნელია, თუმცა ყველა თანხმდება, რომ პრობლემის გადაწყვეტა აუცილებელია. ეს უკა-ნასკნელი კი, პირველ რიგში, მისი სწორი გააზრებით იწყება.

სირიის პოლიტიკურ ისტორიას არაერთი გარდამტეხი მოვლენა ახსოვს. რეგიონის ზოგადი პოლიტიკური მდგომარეობა სიმეტრიულად აირეკლებოდა სირიის შიდა სამზარეუ-ლოში, თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ სირიამ ბევრად უფრო მყარი საძირკველი შექმნა ტოტა-ლური დიქტატურისთვის, ვიდრე, პირობითად, ლიბიამ, ირანმა ან ეგვიპტემ. 2000-იანი წლე-ბის დასაწყისში რეგიონში დასავლურმა ინტერვენციამ თითქოს ყველა დიქტატორული რე-ჟიმის მომავალი დახატა, მაგრამ სირია არც თუ ისე მყიფე აღმოჩნდა გარეშე ძალების თავ-დასხმის მოგერიებისას და მტკიცედ შეინარჩუნა ის, რაც ბაშარ ალ-ასადს მემკვიდრეობით ერგო. ამჟამად, ბაშარ ალ-ასადის რეჟიმის გამძლეობა მხოლოდ გარე მხარდაჭერას არ ეყ-რდნობა. რეჟიმის სახეს იმ სამხედრო პოლიტიკის გავლენაც ინარჩუნებს, რისი მეშვეობითაც წლების წინ გარდაცვლილმა სირიელმა დიქტატორმა მის შვილს, ბაშარს, დიდი, ძლიერი და ინსტიტუციურად ჩამოყალიბებული ელიტური ერთეული დაუტოვა სამხედროების სახით. (Hinnebusch 2002) საინტერესოა, რომ ჰაფეზ ალ-ასადის მმართველობამდე სირიაში ოცამდე სამხედრო გადატრიალება მოხდა, თუმცა ჰაფეზის მმართველობისას სამხედროების მხრიდან მისი გადაყენების მცდელობა არ ყოფილა.[1] მან შეძლო და სამხედროების მხრიდან ლოიალუ-რი დამოკიდებულება მოიპოვა და სწორედ ამ ლოიალობამ გადაარჩინა ბაშარ ალ-ასადი სი-რიის სამოქალაქო ომის დროს (Ziyāda 2019).

მიუხედავად იმისა, 2000 წელს სირიის საპრეზიდენტო სავარძელი ბაშარ ალ-ასადის ხელში სრულიად შემთხვევით აღმოჩნდა (Fisk 1994), ის დღემდე ინარჩუნებს ძალაუფლებას სირიაში, თუმცა მან მალევე დაარღვია არაბული ქვეყნებისა და დასავლელი ლიდერების აღქმა, რომ დიქტატორის ევროპაში განათლებამიღებული შვილი ქვეყანას რეფორმების გზა-ზე დააყენებდა და სირიის პოლიტიკურ ელიტას რადიკალურ ცვლილებებს მოუტანდა (Hinnebusch 2019, 34-36). დროთა განმავლობაში ნათელი გახდა, რომ შვილი ასადი არა პროგ-რესის, არამედ პირიქით, უფრო ღრმა დიქტატურის კვალზე იდგა და საბოლოო ჯამში ცივი-ლიზებული სამყაროსგან იზოლირებულ ტირანად იქცა, რომელმაც პოლიტიკური ძალაუფ-ლების შესანარჩუნებლად საკუთარ მოქალაქეებს გენოციდი მოუწყო.

და მაინც, რამ შეცვალა ასადი? ფაქტია, რომ მისი ლტოლვა დემოკრატიის შენებისად-მი დიდხანს ვერ გაგრძელდა და ნელ-ნელა დაიძრა მის მიმართ უკმაყოფილების ტალღა, რაც გამოწვეული იყო ციხეებში პატიმრებისთვის არასათანადო და ღირსების შემლახველი მოპყ-რობით, რელიგიური და პოლიტიკური ნიშნით დევნით, მედიის კონტროლის მცდელობით, ოპონენტების შევიწროებით და სხვ. თანდათან აშკარა გახდა, რომ „ახალი“ სირია არაფრით არ განსხვავდებოდა ძველი რეჟიმისგან და თითქოს პროგრესული მმართველის პირობებშიც კი ვერ აღწევდა თავს მუდმივ არეულობას და დესტაბილიზაციას. არავინ იცის რეალურად

[1] https://blogs.lse.ac.uk/lseih/2020/08/10/hafez-al-assads-legacy-and-the-syrian-civil-war/.

სურდა თუ არა იმ დროს ასადს ცვლილებები თუ უბრალოდ თავს ინიღბავდა, მაგრამ შეიძლება ჩავთვალოთ, რომ მამის დანატოვარი მემკვიდრეობა, ვგულისხმობ სისტემას, იმდენად ძლიერი იყო, რომ მისი შეცვლა მარტივი ნამდვილად არ იქნებოდა. ფაქტობრივად, ქვეყნის ყველა ტიპის უსაფრთხოების სერვისი თავიდანვე მომართული იყო იმისკენ, რომ ყველანაირ ფასად დაეცვათ დიქტატორის მანდატი.

შიდა პოლიტიკაში მიღწეული „წარმატებების“ პარალელურად ბაშარ ალ-ასადმა, მამის მსგავსად, მალევე დაადასტურა კრემლის მიმართ ერთგულება (გაჩეჩილაძე 2019) და მოკავშირედ სწორედ რუსეთი და ირანი აირჩია. მაგრამ, მიუხედავად ამ ყველაფრისა, სირიაში შექმნილი და სწრაფად პროგრესირებადი კრიზისი დასავლურმა სამყარომ მხოლოდ არაბული გაზაფხულის შემდეგ დაინახა.

არაბული გაზაფხული ასადის რეჟიმისთვის ფაქტობრივ განაჩენად იქცა, რომელიც, სამწუხაროდ, დღემდე არ აღსრულებულა, თუმცა ერთი რამ ცხადია, რომ სწორედ ამ მასობრივი პროტესტის ტალღამ გამოააშკარავა რეჟიმის შემოქმედის რეალური სახე და დაანახა მსოფლიოს, რომ თითქოს პროგრესულად მოაზროვნე, ევროპაში განათლებამიღებული პოლიტიკოსის უკან რეალური „მხეცი“[2] დგას, რომელიც მამის სისასტიკის გაათკეცებულ ფორმებს ავლენს. ბაშარ ალ-ასადის პროგრესისადმი მიდრეკილების ფასადურობა მალევე გახდა ნათელი, რამაც დასავლეთში მის მიმართ უნდობლობა და მტრული განწყობა, ტოტალიტარულ რეჟიმებში კი პირიქით, ნდობა და მოკავშირეობის სურვილი გააღვივა.

ფაქტობრივად, არაბულმა გაზაფხულმა სირიაში და არამხოლოდ სირიაში პოლიტიკურ სცენაზე გამოიყვანა ისლამური ძალები. ასადის მმართველობისას გადადგმულმა ნაბიჯებმა შეუძლებელი გახადა დიქტატორისთვის ღირსეული წინააღმდეგობის გაწევა. ყველაზე მთავარი, რაც ხელისუფალის დამხობას სჭირდება, ახლო რგოლის განდგომაა, სირიაში კი ეს ვერ მოხდა, ვინაიდან მამა-შვილმა ასადებმა საკრარული მნიშვნელობა მიანიჭეს უსაფრთხოებისა და თავდაცვის უწყებებში ალავიტების დანიშვნას და ჩაგრული უმცირესობის დაცვის არგუმენტი წამოწიეს წინა პლანზე (Dam 2017, 60-61). კიდევ ერთი საინტერესო საკითხია არაბული ნაციონალიზმის თემა, რაც ასევე კარგი მანიპულაციის იარაღია ასადის რეჟიმისთვის. დღემდე, ძალიან ბევრ სახელმწიფო უწყებაზე დამასკოში სირიისა და პალესტინის დროშები ერთადაა აღმართული, რაც ერთის მხრივ რელიგიურ სენტიმენტზე ამახვილებს ყურადღებას, ხოლო მეორეს მხრივ მტრის ხატის უკან რეგიონის კიდევ ერთ მნიშვნელოვან აქტორს, ისრაელსაც აყენებს. ლოგიკური ჯაჭვით ისრაელიდან ამერიკის შეერთებულ შტატებამდე მივდივართ და ასადის მიზანსაც სწორედ ეს წარმოადგენს, რომ ყველა შესაძლო გარემოება გამოიყენოს იმის საჩვენებლად, რომ სწორედ დასავლეთის და ამერიკის სურვილია სირიაში დესტაბილიზაცია და ასადი იცავს ალავიტებს, იცავს არაბებს და იცავს საკუთარ სახელმწიფოს.

სირიის სამოქალაქო ომის არქიტექტურა კომპლექსური, მრავალმხრივი და გასააზრებლად საკმაოდ რთული ფენომენია. რეალურად, ეს არის ომი, სადაც არ არსებობენ მუდმივი მტრები და მოკავშირეები და შესაძლოა შენსავე მტერს სხვა საერთო მტრის წინააღმდეგ მხარს უჭერდე და პირიქით, მოკავშირეს ებრძოდე უფრო პრაგმატული მიზნის არგუმენტით. სირიის სამოქალაქო ომში ერთმანეთს ებრძვიან სირიის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტის, ბაშარ ალ-ასადის პრო-სახელისუფლებო ძალები და სხვადასხვა საშინაო თუ საგარეო აქტორები, რომლებიც დამატებით ერთმანეთთანაც დაპირისპირებულ მდგომარეობაში არიან.

ოფიციალურად, სირიის სამოქალაქო ომი 2011 წლის მარტში დაიწყო, როდესაც არაბული გაზაფხულის ტალღა ასადის რეჟიმსაც შეეხო და მოქალაქეთა უკმაყოფილება კრიტიკულ ფაზაში გადავიდა. მას შემდეგ, რაც რეჟიმის დამხობის მოწოდებებმა მასობრივი სახე მიიღო, პრეზიდენტმა ასადმა ყველა საჭირო ზომის მიღება სცადა ძალაუფლების შესანარჩუნებლად. დროთა განმავლობაში სირიის ოპოზიციური ძალების მოზაიკა მცირედ იცვლებოდა, თუმცა ძირითადი ძალები მაინც მუდმივი დარჩა. ამჟამად ასადის რეჟიმს უპირისპირდებიან სუნიტური ოპოზიციური მეამბოხე ჯგუფები, სალაფიტური ჯიჰადისტური ჯგუფები, როგო-

[2] ასე უწოდა ტრამპმა ბაშარ ალ-ასადს.

რიცაა მაგალითად ალ-ნუსრას ფრონტი და ჰაიათ თაჰრირ აშ-შამი, შერეული ქურთულ-არაბული სირიის დემოკრატიული ძალები (SDF) და ერაყისა და ლევანტეს ისლამური სახელმწიფო (ISIL).

გაერომ სირიაში სამოქალაქო ომის მიმდინარეობა ოფიციალურად პირველად 2012 წლის 12 ივნისს დაადასტურა. 2012 წლის მეორე ნახევარში კონფლიქტმა სირიის დიდ ქალაქებში, ალეპოსა და დამასკოში გადაინაცვლა და ძალიან ბევრი სხვადასხვა პერსპექტივა შეიძინა. ამ დროს გააქტიურდნენ ისეთი ჯგუფები, რომლებიც მანამდე აშკარად არ დემონსტრირებდნენ საკუთარ ძალებს და რაც ყველაზე მთავარია, კონფლიქტის არენაზე გამოჩნდნენ ისლამური ძალები: აჰრარ აშ-შამი, ჯაიშ ალ-ისლამი და ისლამური ფრონტი. ისლამური ძალების გააქტიურებამ ახალი პრიზმა შექმნა, რომელმაც ასადის თავდაცვით წინააღმდეგობასაც პრაგმატული არგუმენტები და ლეგიტიმაცია შესძინა. ამას შედეგად მოჰყვა ამერიკის შეერთებული შტატების დაინტერესება, რომლის პირდაპირი ამოცანაა მოახდინოს ტერორიზმის გავრცელების პრევენცია და დაიცვას ევროპული და ატლანტიკური უსაფრთხოება.

2014-2015 წლები რეგიონში ამერიკის გავლენების დომინაციით გამოირჩეოდა, თუმცა ამერიკის გააქტიურებასთან ერთად გააქტიურდა რუსეთიც, რომელიც საკუთარი ინტერესების გატარებას ცდილობდა პრო-სახელისუფლებო ძალებისა და თვითონ პრეზიდენტის, ბაშარ ალ-ასადის ღია მხარდაჭერით. თანდათანობით კონფლიქტმა უფრო მეტად პროქსი ომის სახე მიიღო, ვინაიდან ამერიკისა და რუსეთის პარალელურად რეგიონში აქტიურად გამოჩნდა თურქეთი, რომელსაც იდლიბის პროვინციის უსაფრთხოებიდან გამომდინარე გაცილებით უფრო მეტი მიზეზი ჰქონდა კონფლიქტში ჩასართავად, ვიდრე ამერიკის შეერთებულ შტატებსა და რუსეთს, თუმცა გარდა უსაფრთხოების გამოწვევისა, თურქეთმა ტერიტორიული ინტერესებიც დააყენა წინა პლანზე და არაერთხელ ეცადა სირიის ჩრდილოეთ ნაწილის დაკავებას (Brumberg 2020).

2019 წლის შემდეგ ვითარება მნიშვნელოვნად არ შეცვლილა. ასადის რეჟიმი თანდათან უფრო აფართოებს თავისი გავლენის სფეროებს, ოპოზიციური ძალები კი პარტიზანული გზებით ცდილობენ წინააღმდეგობის გაწევას. რომ არა საგარეო მხარდაჭერა, წინააღმდეგობის ხარისხი გაცილებით უფრო დაბალი იქნებოდა, თუმცა მეორეს მხრივ, გარეშე აქტორები კიდევ უფრო მეტად ართულებენ კონფლიქტის მოგვარებას და დამატებით უსაფრთხოების გამოწვევებს უქმნიან არამხოლოდ საკუთარ, არამედ რეგიონის სხვა ქვეყნებს.

დღემდე, სირიის ხელისუფლება ებრძვის სახელცვლილ და სახეცვლილ ტერორისტულ დაჯგუფებებს, რომელთათვისაც სირია ფაქტობრივად სათბურად იქცა. დასავლეთის რეგიონით დაინტერესების შემცირებასთან ერთად პროქსი ძალები უფრო თავდაჯერებულად მიყვებიან საკუთარ მიზნებს და ახალ პერსპექტივებს უქმნიან კონფლიქტს (Dam 2017, 71-73). სირიის ოპოზიციური ფლანგი კომპლექსურ ორგანიზმად ჩამოყალიბდა, რომელიც საერთო გზით ცდილობს განსხვავებული მიზნების მიღწევას, თუმცა ყველა ამ მიზანს ერთი დიადი მისია, ალავიტი დიქტატორის ბაშარ ალ-ასადის რეჟიმის დამხობა წარმოადგენს. სირიის ოპოზიციური ფლანგი თავისი მნიშვნელობითა და მასშტაბით გაცილებით უფრო დიდი და მრავალფეროვანი ძალისა და მნიშვნელობის მატარებელია, ვიდრე მხოლოდ ასადის რეჟიმის ოპონირებაა. ფაქტობრივად, სირიის ოპოზიციური ფრთა აერთიანებს ჯანსაღ ოპოზიციას, გარეშე აქტორებს, რომლებიც საკუთარი პრაგმატული მიზნების მისაღწევად არიან ჩართული კონფლიქტში, ტერორისტულ და ექსტემისტულ დაჯგუფებებს, რომელთა აქტივობაც დამატებით საფრთხეებს ქმნის რეგიონისთვის და მთელი მსოფლიოსთვის და უმცირესობებს, რომლებიც საკუთარი უფლებების დასაცავად და იდენტობის შენარჩუნებისთვის იბრძვიან ასადის რეჟიმის წინააღმდეგ (Douwes 2013).

მაგალითად, ჰაიათ თაჰრირ აშ-შამი, იგივე ლევანტის განთავისუფლების ორგანიზაცია (HTS) ამჟამად იდლიბის რეგიონში ყველაზე მნიშვნელოვანი და ძლიერი ოპოზიციური აქტორია, შეიარაღებული ოპოზიციის მთავარი დასაყრდენი. ჰაიათ თაჰრირ აშ-შამის მთავარ მიზანს წარმოადგენს სირიაში ისლამური მმართველობის დამყარება ასადის რეჟიმის დამხობითა და სირიიდან ირანული მილიციის განდევნით.

ამ მიზნით ალ-ჯოლანიმ ჩამოაყალიბა მრავალმხრივი სტრატეგია, რომელიც რამდენიმე ეტაპისგან შედგება. პირველი ეტაპი HTS-ის მიერ კონტროლირებადი სირიის ქალაქებიდან ირანული მილიციის განდევნას გულისხმობდა. მეორე ეტაპი სირიაში ისლამური სახელმწიფოსა და მისი მოკავშირეების წინააღმდეგ სრულმასშტაბიანი კამპანიის განხორციელებას. მესამე ეტაპი კი „გამაგრებას", ანუ ჩრდილოეთ სირიის დაცვას შემდგომში ტერიტორიების დაკარგვისგან.

გარდა ჰაიათ თაჰრირ აშ-შამისა, სირიაში ოპერირებს მსოფლიო ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი და მასშტაბური ტერორისტული დაჯგუფება ერაყისა და ლევანტის ისლამური სახელმწიფო, იგივე ISIL, ISIS და დაეში, რომელიც თავდაპირველად ალ-კაიდას ერაყის ფრთისგან და ერაყში ოპერირებადი მცირე სუნიტური მეამბოხე ჯგუფებისგან ჩამოყალიბდა (Levitt 2021). ისლამური სახელმწიფო არის გაეროს მიერ ტერორისტულ ორგანიზაციად აღიარებული დაჯგუფება, რომელიც მიზნად ისახავს გლობალური, ისლამური ხალიფატის შექმნას და ძალადობრივი კონფლიქტის წახალისებას არამუსლიმებსა და მუსლიმებს შორის.

HTS-ისგან განსხვავებით ისლამური სახელმწიფო გაცილებით უფრო დიდი სისასტიკით გამოირჩევა მათ შორის მშვიდობიანი მოქალაქეების წინააღმდეგაც. სირიასა და ერაყში ე.წ. „ხალიფატის" დაარსების დღიდან ISIL-მა მოკლა ასობით მშვიდობიანი მოქალაქე, მოაწყო საჯარო სიკვდილით დასჯის ცერემონიალები, თავი მოკვეთა ათობით უდანაშაულო ადამიანს.

სირიის პოლიტიკურ არენაზე სახელისუფლებო და ოპოზიციური ძალების დამოუკიდებლად მოქმედებს სირიის დემოკრატიული ძალებიც (SDF), რომელიც ქურთების ხელმძღვანელობით შექმნილი მულტი ეთნიკური ძალაა. ის აერთიანებს ქურთებს, არაბებს და სხვა ეთნიკურ უმცირესობებს.

2020 წლის მონაცემებით სირიის დემოკრატიული ძალები ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ სირიაში აკონტროლებდა რაკას და ჰასაკას რეგიონების უმეტეს ნაწილს, ევფრატის ჩრდილო-აღმოსავლეთს და ალეპოს პროვინციების ნაწილსაც კი (Phillips 2016). ქურთი ხალხის დაცვის ნაწილები პასუხისმგებელი არიან თურქეთთან და სირიის დარჩენილ ნაწილთან გარე საზღვრების დაცვაზე. სირიის დემოკრატიული ძალების ადამიანური რესურსი 60 000-მდე მებრძოლს მოიცავს.

ყოველივე ამასთან ერთად, თანდათანობით სირია კონფლიქტების კომპლექსური სერიის არენად იქცა, რომელშიც მრავალი შიდა თუ საერთაშორისო აქტორი ჩაერთო, რომლებიც დღემდე განაპირობებენ სირიის და რეგიონის უსაფრთხოების გარემოს.

ძალთა ბალანსი რთულ ალიანსებსა და მუდმივად ცვალებად მოკავშირე-მტრებს შორის რეგულირდება, თუმცა ამ კომპლექსურ რეალობაში ყველა აქტორი საკუთარი პრაგმატული მიზნებისთვის იბრძვის, რაც თითოეულ შემთხვევაში განსხვავებულია.

ირანი: ირანი ასადის რეჟიმის ახლო მოკავშირე ჯერ კიდევ 1979 წლის ისლამისტური რევოლუციის შემდეგ გახდა. ირანის მხარდაჭერა არამხოლოდ დიპლომატიური მესიჯებით, არამედ შეიარაღების გაგზავნით, რამდენიმე მილიარდი დოლარის ფინანსური დახმარებით, ერაყული ნავთობის გადაზიდვის ორგანიზების ხელშეწყობით, სირიული მილიციის გადამზადებით, უცხოელი შიიტი მებრძოლების სირიაში გასაგზავნად მობილიზებითა და ისლამური რევოლუციური დაცვის კორპუსის (IRGC) სირიის არმიის დანაყოფებთან ერთად სირიაში ასადის რეჟიმის მხარდამხარ საბრძოლველად გაგზავნით გამოიხატა (Brumberg 2018).

მიიჩნევა, რომ სირიისადმი მუდმივად მზარდი დაინტერესებით ირანი ცდილობს მუდმივად იყოს წარმოდგენილი მეზობელ სახელმწიფოში და ამ გზით მოახდინოს გავლენა ისრაელზე, რომელიც უკვე ათწლეულებია ირანის მტრად აღიქმება. ევროპის საბჭოს ანგარიშში ვკითხულობთ, რომ ირანის სტრატეგია სირიაში გულისხმობს ლიბანისა და ერაყის მსგავსი მოდელის შექმნას, სადაც პოლიტიკურ გარემოს გააკონტროლებენ ძლიერი არასახელმწიფო აქტორები. პარალელურად, ირანი პოზიტიურ ურთიერთობებს ინარჩუნებს რუსეთთან და ეს ორი სახელმწიფო ალიანსის პრინციპით ცდილობს დაიცვას ასადის რეჟიმი,

რაც ორივე სახელმწიფოსთვის პრაგმატული მიზნების მიღწევის უმთავრესი წინაპირობაა (Bar 2006, 415).

აშშ: აშშ-ის რეგიონით დაინტერესების მთავარი ამოსავალი წერტილი ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაა. 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ ახლო აღმოსავლეთის რეგიონი ამერიკის შეერთებული შტატებისთვის ტერორიზმის აკუმულირებულ საფრთხედ იქცა, რაც დაუყოვნებლივ განეიტრალებას საჭიროებდა, თუმცა თითქმის მეოთხედი საუკუნეა რაც მსოფლიომ ამ მიზანს ვერ მიაღწია და რეგიონი გაცილებით უფრო რთულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ უსაფრთხოების მდგომარეობაში ჩააყენა. 2014 წელს ამერიკის შეერთებული შტატების ინიციატივით დაეშის წინააღმდეგ გლობალური კოალიცია შეიქმნა, რომელმაც 81 სახელმწიფო გააერთიანა. 2014 წლის სექტემბრიდან კოალიცია დაეშის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციებს ახორციელებდა სირიაში.

თურქეთი: თურქეთი სირიის კონფლიქტში 2011 წლიდანაა ჩართული და მხარს უჭერს ოპოზიციურ ძალებს, რომლებიც ასადის რეჟიმის დამხობას ისახავენ მიზნად. ამ ოპოზიციურ ძალებში იგულისხმება თავისუფალი სირიის არმია და სხვა ისლამისტური დაჯგუფებები. თუმცა, საინტერესოა ის ფაქტი, რომ თურქეთმა დროთა განმავლობაში შეცვალა კონფლიქტით დაინტერესების მიზეზი და ასადის რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლიდან მხოლოდ საკუთარი პრაგმატული ინტერესების გატარებაზე და რუსეთისა და ირანის წინააღმდეგ ბრძოლაზე გადავიდა (Bar 2006, 417). ფაქტობრივად, სირია იქცა თურქეთის, ირანისა და რუსეთის ინტერესების კვეთის სივრცედ და პროქსი დაპირისპირების არეალად. დამატებით, თურქეთს მოუწია 4 მლნ-მდე სირიელი ლტოლვილის მიღება, მეტის, ვიდრე რომელიმე სხვა ქვეყანას.

დამატებით, თურქეთის მთავარ დაინტერესებას სირიის კონფლიქტთან მიმართებით წარმოადგენს სირიაში მცხოვრები ქურთი ხალხის მისწრაფება ჩრდილოეთ სირიის ტერიტორიაზე თურქეთის საზღვართან ახლოს ჩამოაყალიბონ ქურთისტანის ავტონომიური რესპუბლიკა. 2016 წლიდან თურქეთი აქტიურადაა ჩართული ჩრდილოეთ სირიის ტერიტორიულ დაცვაში (McKernan 2018).

რუსეთი: რუსეთი სამხედრო გზით სირიის კონფლიქტში 2015 წლის სექტემბერში ჩაერთო და დაეშის მიერ დაკავებულ ტერიტორიებზე სირიის მთავრობისგან განხორციელებულ საჰაერო თავდასხმებში მიიღო მონაწილეობა. რეალურად, რუსეთის ჩართვამ განაპირობა ომში წარმატების ვექტორის ასადის მხარეს გადახრა (Bar 2006, 417-418).

რუსეთი ძირითადად სირიის საჰაერო კონტროლზეა პასუხისმგებელი. რუსეთი დღემდე ინარჩუნებს მნიშვნელოვან სამხედრო წარმომადგენლობას სირიაში და აგრძელებს საჰაერო თავდასხმებს ოპოზიციის წინააღმდეგ.

ისრაელი: ისრაელი სირიის წინააღმდეგ ფორმალურ ომში ჯერ კიდევ 1948 წლიდანაა ჩართული. ისრაელს დღემდე ოკუპირებული აქვს სირიის გოლანის მაღლობები, რომლის ანექსიაც 1981 წელს მოხდა, თუმცა გაერომ ეს ნაბიჯი არ აღიარა. 2019 წლის 25 მარტს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა გოლანის მაღლობები ისრაელის ნაწილად აღიარა, რის გამოც სირიის ოფიციალურმა პირებმა აგრესიანარევი განცხადებით განმარტეს რომ ისინი ყველაფრის ფასად დაიცავენ საკუთარ ტერიტორიებს.

აშკარაა, რომ სირიის ტერიტორიაზე, განსაკუთრებით გოლანის მაღლობების მახლობლად ირანული ძალების ან ირანის მხარდაჭერილი პრო-სამთავრობო ძალების კონცენტრაცია ისრაელის უსაფრთხოების გარემოსთვის პირდაპირი საფრთხეა. სირიის ტერიტორიაზე ისრაელის საზღვართან ახლოს ირანული ძალების მუდმივი ყოფნა კი ისრაელისთვის ახალი „ტერორის ფრონტების“ შექმნას ნიშნავს.

ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ 2011 წელს დაწყებული სირიის სამოქალაქო ომი XXI საუკუნის ყველაზე ხანგრძლივ კონფლიქტად იქცა, რომლის წინაშეც საერთაშორისო საზოგადოება სრულად უძლური აღმოჩნდა. მუდმივმა დესტაბილიზაციამ ხელსაყრელი ნიადაგი შექმნა რელიგიური ფუნდამენტალიზმის გასაძლიერებლად (Abdo 2016). ქვეყნის უსაფრთხოების გარემოსთვის უმთავრეს გამოწვევად იქცა მოსახლეობის სექტარიანული დაყოფა (Makdisi 2000),

გაუმართავი ეკონომიკა, შიდა რელიგიური დაპირისპირებები, რეჟიმის ლეგიტიმაციის პრობლემა და რეგიონში აგორებული ცვლილებების ტალღის წნეხი. დამატებით პრობლემად იქცა საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზიების მიერ სუნიტური სოლიდარობის არგუმენტით ფინანსების, შეიარაღებისა და სხვა ტიპის რესურსის მოზიდვა, რამაც საბოლოო ჯამში სირია ტერორიზმის ინკუბატორად აქცია. შიდა არეულობას მალევე დაემატა საგარეო აქტორების დაინტერესება და საბოლოო ჯამში მივიღეთ კონფლიქტი, რომელშიც ყველა ყველას წინააღმდეგ იბრძვის.

მანამ, სანამ რუსეთი კონფლიქტში ჩაერთვებოდა, გაერთიანებული ოპოზიცია გარკვეულ წარმატებებს აღწევდა და ასადის რეჟიმის საძირკველიც მერყეობას იწყებდა, თუმცა რუსეთის გააქტიურების შემდეგ კონფლიქტი ჩიხში შევიდა და ერთ სტადიაზე გაიყინა. გამოსავალი არ ჩანს, ყოველ დღეს ნგრევა, არეულობა და მსხვერპლი მოაქვს. არცერთი მხარე არაა მზად რეალურ მოლაპარაკებებზე[3] წასასვლელად და კონფლიქტის მოგვარების პერსპექტივა კიდევ უფრო სათუო ხდება.

სირიაში არსებული ვითარება არამხოლოდ მის სამეზობლოზე, არამედ გაცილებით უფრო ფართო გეოპოლიტიკურ არეალზე ახდენს გავლენას. აშკარაა, რომ სირიასთან დაკავშირებული ნებისმიერი პროგნოზი უსაფუძვლო და ხშირად კომიკურია და ყველაფერი ფორსმაჟორში ხდება. ხელისუფლებისა და ოპოზიციის დაპირისპირებით გონივრულად სარგებლობენ ტერორისტული ორგანიზაციები და ცდილობენ ეფექტური კონტროლი დაამყარონ რიგ რეგიონებზე. აქ საინტერესოა ტერორისტული ორგანიზაციების ლოკალურ პოლიტიკურ ძალებად ფორმირების ტენდენცია, რაც ზუსტად ერთი წლის წინ ნათლად ვიხილეთ ავღანეთის თალიბანის მაგალითზე.

სირიის სამოქალაქო ომმა ოფიციალურ მოსკოვს ძველი დიდების და გავლენების წყურვილი დაუბრუნა. რეალურად, რუსეთი ახლო აღმოსავლეთში კონტროლის მექანიზმის მოპოვებით ცდილობს დაამტკიცოს, რომ საერთაშორისო ურთიერთობებში კვლავ ანგარიშგასაწევი ძალაა. 2022 წლის 24 თებერვალს უკრაინაში განხორციელებული რუსული ავანტიურის და მისი შედეგების შემდეგ სირიაში გააქტიურება კიდევ უფრო მეტად მოსალოდნელია, თუმცა მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ხანგრძლივი უკრაინული ომის შემდეგ რუსეთს ამის რესურსი შემორჩება.

მიუხედავად იმისა, რომ დიდი სახელმწიფოები, მათ შორის თურქეთი და რუსეთი სირიის სამოქალაქო ომში ე.წ. პროქსი ძალებით იბრძვიან, საჭიროების შემთხვევაში არც პირდაპირ და შეუფარავ თავდასხმებს ერიდებიან, რასაც კონფლიქტი გაცილებით უფრო სხვა და საშიშ განზომილებაში გადაყავს. ფაქტობრივად, სირია არის ბრძოლის ველი, სადაც რეგიონის თითქმის ყველა სახელმწიფო საკუთარი ძალების დემონსტრირებას ცდილობს. ამერიკის შეერთებული შტატები შორიდან აკვირდება პროცესს და მხოლოდ ტერორიზმის საფრთხის დონის ზრდასთან ერთად იწყებს აქტიურ რეაგირებას. ამერიკის შეერთებული შტატების ძირითადი სამხედრო კონტიგენტის სირიიდან გაყვანას ევროპის ქვეყნების მხრიდანაც ნიჰილისტური დამოკიდებულების ჩამოყალიბება მოყვა, რასაც, ბუნებრივია, სათავისოდ იყენებენ რუსეთი, ირანი და თურქეთიც კი (ბატიაშვილი 2017).

სირიის სამოქალაქო ომი ნებისმიერი ძალისთვის რთულს ხდის რეგიონში ოპერირებას, ვინაიდან სხვადასხვა დაპირისპირებულ ჯგუფებს, ფაქტობრივად, საკუთარი ინტერესების ქსელი აქვთ გაბმული, რასაც გვერდს ვერავინ აუვლის. რეგიონში არსებული მუდმივი დაძაბულობის გარემო მარტივს ხდის თუნდაც უსაფუძვლო ესკალაციას და ნებისმიერ მომენტში დიდი საფრთხის წინაშე აყენებს როგორც სირიას, ისე მის მეზობელ ქვეყნებს.

მიუხედავად იმისა, რომ სირიის სამოქალაქო ომში პირდაპირ თუ ირიბად ჩვენთვის საინტერესო რამდენიმე ქვეყანაა ჩართული, კავკასიის რეგიონს პირდაპირ ეხება რუსეთსა და თურქეთს შორის ინტერესების ნებისმიერი კვეთა. სირია არც გეოგრაფიულად და არც გეოპოლიტიკურად ჩვენგან შორს არ არის. ეს განსაკუთრებული სიმძაფრით ვიგრძენით მაშინ, რო-

[3] There are talks, but no negotiations.

ცა 2015 წლის 24 ნოემბერს თურქეთმა რუსული ავიაგამანადგურებელი ჩამოაგდო და პოლიტიკური დაძაბულობის წერტილმა კავკასია-შავი ზღვის რეგიონზე გადმოინაცვლა. ასეთი შემთხვევა კიდევ ბევრჯერ შეიძლება განმეორდეს, ამიტომ მცდარია ნებისმიერი ექსპერტის მოსაზრება, რომელიც თვლის, რომ ევროპაში და ამერიკაში მიმდინარე მოვლენები საქართველოსთვის უფრო საინტერესო უნდა იყოს, ვიდრე ახლო აღმოსავლეთში არსებული კონფლიქტები.

რა შედეგითაც არ უნდა დასრულდეს სირიის სამოქალაქო ომი, რაც ბუნებრივია, მოკლევადიან პერსპექტივაში ვერ მოხდება, ქვეყნის შემდგომი მოწყობა გაცილებით უფრო რთულად დასაორგანიზებელი იქნება, ვიდრე კონფლიქტის მართვაა ამჟამად. ამის ძირითადი მიზეზი, პირველ რიგში, ეთნიკური და რელიგიური სიჭრელეა.

მანამ, სანამ კონფლიქტის მოგვარების პერსპექტივა არ ჩანს, სირიაში ჰუმანიტარული კრიზისია, რაც დამატებით საფრთხეს უქმნის რეგიონის და განსაკუთრებით თურქეთის უსაფრთხოების გარემოს. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ იდლიბის პროვინციიდან თურქეთში გადასული ლტოლვილები ევროპაში თავშესაფრის მისაღებად იბრძვიან, არც ევროპის ქვეყნები რჩებიან ხელშეუხებლად ამ კონფლიქტის შედეგად.

სირიის კონფლიქტი დესტაბილიზაციას იწვევს მეზობელ სახელმწიფოებშიც, რომელთათვისაც დამატებითი პრობლემა იქნება დაეშის ხელახალი გამოღვიძება. რელიგიური ჯგუფები მუდმივად ცდილობენ რელიგიური სენტიმენტების საკუთარი პრაგმატული მიზნების მისაღწევად გამოყენებას, განსაკუთრებით ახალგაზრდების მოსყიდვას, გადაბირებასა და რეკრუტირებას, რის წინაშეც საქართველოც დგას. ამ გამოწვევის რეალურობა დამტკიცდა 2017 წლის 22 დეკემბერს თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩაზე, ერთ-ერთ საცხოვრებელ კორპუსში განხორციელებული სპეცოპერაციით, რომლის დროსაც ქართულმა სპეცდანიშნულების რაზმმა მცირე შეიარაღებული ჯგუფის სამი წევრის ლიკვიდირება მოახდინა, ესენი იყვნენ ისლამური სახელმწიფოს ერთ-ერთი საველე მეთაური აჰმედ ჩატაევი და მისი ორი თანამზრახველი - იბრაჰიმ ადაშევი და ასლანბეგ სოლტაჰმადოვი. რამდენიმე დღის შემდეგ, 2017 წლის 26 დეკემბერს კონტრტერორისტული დეპარტამენტის მიერ ეთნიკურად აზერბაიჯანელი მოსახლეობით მჭიდროდ დასახლებულ პანკისის ხეობაში ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად მძიმედ დაიჭრა და მოგვიანებით გარდაიცვალა ახალგაზრდა თემირლან მაჩალიკაშვილი. გამოძიების ვერსიით, მაჩალიკაშვილიც სწორედ ჩატაევის ჯგუფთან თანამშრომლობდა და დაკავების მომენტშიც ხელში ხელყუმბარა ეკავა. ეს მაგალითები ნათელს ხდის რაოდენ დიდი საფრთხე მომდინარეობს ახლო აღმოსავლეთის რეგიონში, მათ შორის სირიაში „მოღვაწე“ ექსტრემისტული დაჯგუფებებიდან და რამდენად დიდი გამოწვევების წინაშე დგას თითოეული ქვეყნის უსაფრთხოების სისტემა.

გარდა ამისა, საინტერესოა რა სცენარით განვითარდება მოვლენები მას შემდეგ, რაც დასავლეთი მიაღწევს საკუთარ სტრატეგიულ მიზანს და საბოლოოდ დაამარცხებს სირიაში მოქმედ ექსტრემისტულ ორგანიზაციებს. სად წავლენ დაეშისა და HTS-ის მებრძოლები და მოხდება თუ არა რეალურად მათი და მათი ოჯახების რესოციალიზაცია?!

საბოლოო ჯამში, აშკარაა, რომ სირიის სამოქალაქო ომი მრავალმხრივ რისკებსა და შესაძლებლობებს აჩენს როგორც მასში პირდაპირ ჩართული მხარეებისთვის, ისე კონფლიქტით დაინტერესებული აქტორებისთვის. ამ საფრთხეებისა და რისკების აღმოფხვრა მხოლოდ ძალების კონსოლიდირებითა და ერთი ინტერესის გარშემო მოქმედებითაა შესაძლებელი, რაც თავისთავად ეწინააღმდეგება საერთაშორისო პოლიტიკის თამაშის წესებს და მხოლოდ უტოპიური პერსპექტივაა.

გამოყენებული ლიტერატურა:

ბატიაშვილი, ზურაბ. 2017. “სირიის სამოქალაქო ომი რეგიონული უსაფრთხოების კონტექსტში.” https://gfsis.org.ge/ge/blog/view/723.

გაჩეჩილაძე, რევაზ. 2019. "ახლო აღმოსავლეთის ცვალებადი გეოპოლიტიკა." *ჩემი სამყარო:* 4-15.

Abdo, Geneive. 2016. *The New Sectarianism: The Arab Uprisings and the Rebirth of the Shi'a - Sunni Divide.* New York: Oxford University Press.

Bar, Shmuel. 2006. "Bashar's Syria: The Regime and its Strategic Worldview." *Comparative Strategy,* vol. 25, no. 5: 353-445.

Brumberg, Daniel. 2018. "Iran's Hardliners and Reformists and the Syria Gambit." Arab Center Washington DC, December 27, 2018. https://arabcenterdc.org/resource/irans-hardliners-and-reformists-and-the-syria-gambit/.

Brumberg, Daniel. 2020. "Russian-Turkish-Iranian Cross-Purposes on Syria's Future." Arab Center Washington DC, September 8, 2020. https://arabcenterdc.org/resource/russian-turkish-iranian-cross-purposes-on-syrias-future/.

Dam, Nikolaos Van. 2017. *Destroying A Nation: The Civil War in Syria.* London/New York: I. B. Tauris & Co. Ltd.

Douwes, Dick. 2013. "Going Public: Minority Muslim Communities and Public Space in Syria (Prior to the Revolt)." In *Religion Beyond its Private Role in Modern Society*, W. Hofstee & A. van der Kooij (eds.), 71-82. Leiden – Boston: Brill Publishers.

Fisk, Robert. 1994. "Syria Mourns Death of a 'Golden Son': Basil Assad's Fatal Car Crash Throws Open the Question of Who Will Succeed the President." *Independent,* January 22, 1994. https://www.independent.co.uk/news/world/syria-mourns-death-of-a-golden-son-basil-assad-s-fatal-car-crash-throws-open-the-question-of-who-will-succeed-the-president-writes-robert-fisk-in-beirut-1401705.html.

Hinnebusch, Raymond. 2019. "What Went Wrong: Understanding the Trajectory of Syria's Conflict." In *Syria from National Independence to Proxy War,* Matar L., Kadri A. (eds.), 29-52. Palgrave Macmillan, Cham.

Hinnebusch, Raymond. 2002. *Syria: Revolution from Above.* London: Routledge.

Landler, Mark. 2018. "Trump to Withdraw U.S. Forces from Syria, Declaring 'We Have Won Against ISIS'." *The New York Times,* December 19, 2018. https://www.nytimes.com/2018/12/19/us/politics/trump-syria-turkey-troop-withdrawal.html.

Levitt, Matthew. 2021. "The Role of the Islamic State in the Assad Regime's Strategy for Regime Survival: How and Why the Assad Regime Supported the Islamic State." The Washington Institute for Near East Policy, July 14. 2021. https://www.washingtoninstitute.org/policy-analysis/role-islamic-state-assad-regimes-strategy-survival.

Makdisi, Ussama. 2000. *The Culture of Sectarianism: Community, History, and Violence in Nineteenth-Century Ottoman Lebanon.* Berkeley, Los Angeles, London: University of California Press.

McKernan, Bethan. 2018. "Turkey Primed to Start Offensive against US-Backed Kurds in Syria." *The Guardian,* December 12, 2018. https://www.theguardian.com/world/2018/dec/12/turkey-primed-to-start-offensive-against-us-backed-kurds-in-syria.

Phillips, Christopher. 2016. *The Battle for Syria: International Rivalry in the New Middle East.* London: Yale University Press.

Tsvetkova, Maria. 2018. "Russia and Turkey Agree to Create Buffer Zone in Syria's Idlib." *Reuters*, September 17, 2018. https://www.reuters.com/article/us-mideast-crisis-putin-erdogan-hope-idUSKCN1LX1BU.

Ziyāda, Raḍwān. 2019. *Sanawāt 'al-ḫawf: 'al-ḥaqīqa wa 'al-ʿadāla fī qaḍīyyati 'al-muḫtafīna qasriyān fī sūrīa.* Wāšinṭun: Bayt 'al-ḥurīyya.

(زيادة ,رضوان .2019 . *سنوات الخوف : الحقيقة و العدالة في قضية المختفين قسرياً في سورية* . واشنطن : بيت الحرية .)